

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია/Psychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი/Bachelor of Psychology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ქეთევან ბერიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: k.beridze@bsu.edu.ge რუსუდან კეჭაკმაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: r.kechakmadze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები;</li> <li>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ფსიქოლოგიური დახმარების, კონსულტირების და ინტერვენციის შესახებ; გამოუმუშაოს სტუდენტს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, ანალიზისა და განზოგადების უნარ-ჩვევები; წინასწარი მითითების შესაბამისად, საბაკალავრო დონის კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; განუვითაროს სტუდენტს პიროვნების ნორმალური და პათოლოგიური განვითარების თავისებურებების განსხვავების უნარი; შეასწავლოს სოციალური ფაქტორების გავლენა პიროვნების ქცევის ჩამოყალიბებაზე;</li> <li>✓ ჩამოუყალიბოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვის უნარი პრაქტიკულ ღირებულებათა დამკვიდრების პროცესში; ფსიქოლოგიის დარგში მიღებულმა ცოდნამ კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ასპარეზო შრომის ბაზარზე ან შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა თუ კვლევით საქმიანობაში მონაწილეობისათვის;</li> <li>✓ უნივერსიტეტის მისიის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მისი მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად, უზრუნველყოს აკადემიური და თანამედროვე ელემენტარული კვლევის მეთოდების ცოდნით აღჭურვილი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე ორიენტირებული, კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მოაზროვნე სპეციალისტის მომზადება, რომელიც ადვილად შეძლებს ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტირებას და იქნება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული პრინციპების მატარებელი;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაეხმაროს სტუდენტს დამოუკიდებლად ორიენტაციის, პრობლემის დასმის და გადაჭრის გზების დასახვის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენებისთვის ემპათიის, აქტიური მოსმენის, კომუნიკაციის მიმართულებით საჭირო კომპეტენციების გაღრმავება-განმტკიცებაში, ხოლო დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე ხელი შეუწყოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პროფესიული საქმიანობის ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელების, საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობების დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელების უნარების განვითარებას;</li> <li>✓ მისცეს სფეროს ცოდნის, უნარების და ავტონომიურობის ის საბაზისო დონე, რომელიც დაეხმარება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ან/და დასაქმდეს შრომის ბაზარზე საჯარო და კერძო სექტორში;</li> <li>✓ მთლიანობაში, პროგრამის მიზანია აკადემიური აქტიურობით და პროფესიული კომპეტენციების მქონე ბაკალავრის მომზადება, რომელსაც ექნება შემდგომი უწყვეტი განათლების და პროფესიული განვითარების მოთხოვნილებისა და უზრუნველყოფის საფუძველი.</li> </ul>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ აღწერს ფსიქოლოგიის მეცნიერების ცალკეული დარგების სპეციფიკას. განმარტავს დარგის ძირითად ცნებებს, ქცევის საფუძვლებსა და თავისებურებებს, პიროვნების თეორიებს, კვლევის ფსიქოლოგიურ მეთოდებს და ფსიქოთერაპიის საფუძვლებს, პროფესიული ეთიკის საფუძვლებს; მსჯელობს ადამიანის განვითარებაზე, მემკვიდრეობისა და გარემოს გავლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე;</li> <li>✓ აღწერს ფსიქიკური განვითარების შეფერხების გამომწვევ ფაქტორებს; განიხილავს ფსიქიკური განვითარების დარღვევის დიაგნოსტიკისა და იდენტიფიცირების საშუალებებს; განმარტავს სკოლამდელ დაწესებულებაში ფსიქოლოგის მუშაობის სპეციფიკას და პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში მათზე რეაგირების მექანიზმებს; გააზრებული აქვს, კლასისა და მოსწავლეთა ქცევის მართვის მრავალფეროვანი სტრატეგიები;</li> <li>✓ აღწერს ფსიქოანალიტიკური თერაპიის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს, აცნობიერებს გემტალტთერაპიის სფეროსათვის დამახასიათებელი მიდგომების, კანონზომიერებების, ტექნიკების მნიშვნელობას, აღწერს ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოთერაპიის ძირითად პრინციპებს, თერაპიულ ინტერვენციებსა და თერაპიულ ჩარჩოს;</li> <li>✓ შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში; უახლესი კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა წინასწარი მითითების შესაბამისად, გაანალიზება სტანდარტული მეთოდების გამოყენებით და სათანადო დასკვნის გაკეთება შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით; შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, ელემენტარული კვლევის (ტესტები, კითხვარები, ინტერვიუ) და/ან ცდების ჩატარება, შედეგების ანალიზი და გან-ზოგადება;</li> <li>✓ შეუძლია სხვადასხვა ფსიქოლოგიური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და შესაბამისი სერვისების საჭიროების მქონე პირებთან ალიანსის მიღწევა, კომუნიკაცია სხვადასხვა სახის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ინკლუზიური განათლების პრინციპების გამოყენება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანთან ურთიერთობისას; იცის განვითარების სხვადასხვა</li> </ul>

	<p>დარღვევის მქონე პირთა თავისებურებები, შეუძლია ქცევის პრობლემის მქონე ბავშვის ქცევაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოკვეთა; ადამიანის ფსიქო-სოციალური საჭიროებების გამოკვლევა და მუშაობის სტრატეგიების შემუშავება, კონსულტირების ძირითადი ცნებების, თეორიებისა და ტექნიკების გამოყენებით კლიენტთან პირველადი კონსულტირების დროს, აცნობიერებს კონსულტანტის როლს თერაპიული მუშაობისას;</p> <ul style="list-style-type: none"><li>✓ შეუძლია ფსიქიკური განვითარების დარღვევის სხვადასხვა ფორმების შედარება; ბავშვებთან მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, თვალისა და ხელის კოორდინაციის, ვერბალური და ვიზუალური მეხსიერებისა და ყურადღების განმავითარებელი ვარჯიშების წარმართვა; სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობის შემოწმება; მშობლისა და მოსწავლის კონსულტირება;</li><li>✓ შეუძლია პრობლემის მქონე ადამიანთან კონფრონტაციის, რეკონსტრუქციის, თავისუფალი ასოციაციების ტექნიკების და კონკრეტული გეშტალტთერაპიული ტექნიკების გამოყენება, კლიენტთან გადამეტებული ემოციების გარეშე მუშაობა, ბავშვის ან მოზარდის ფსიქოთერაპიული ინტერვენციის საჭიროების შეფასება;</li><li>✓ შეუძლია როგორც ფსიქოლოგიის, ასევე, მომიჯნავე დარგებში შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლად განხორციელება, ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის დაუფლება; პროფესიული პასუხისმგებლობისა და სათანადო ეთიკური ნორმების დაცვა მუშაობის პროცესში;</li><li>✓ მიღებული ცოდნის განახლების მიზნით სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება და გამოყენება; პროფესიული საქმიანობის ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელება, აქტივობების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;</li><li>✓ შეუძლია ცოდნის მუდმივი განახლება, პროვნების პატივისცემა, მათი მონაცემების მიმართ მიუკერძოებლობა, კონფიდენციალობის და ეთიკური პრინციპების დამოუკიდებლად დაცვა.</li></ul>
--	---